


დამტკიცებულია შპს სიოს დირექტორის
2023 წლის 29 მაისის N 1-24 ბრძანება



შპს სიო

დაწესებულების 2023-2024 წწ (ერთწლიანი)
სამოქმედო გეგმა

2023 წ

შპს „სიო“-ს მისია ხედვა და ღირებულებები



შპს სიო-ს მისია

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, როგორც სამედიცინო ასევე სხვა პროფესიულ სფეროებში, ადამიანური და მატერიალური რესურსების მუდმივი განვითარებით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობით და რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთეფექტური თანამშრომლობის გზით.



კოლეჯის ხედვა:

2027 წლისთვის ვიყოთ ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იმერეთის რეგიონში, დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდით, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით და დამსაქმებლებთან მრავალმხრივი პარტნიორობით.



ღირებულებები

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი;

2. SWOT - ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მიზანდასახული ხელმძღვანელი და პროფესიონალური გუნდი; • თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • განათლების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება; • თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა; • კონკურენტუნარიანობა; • კურდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; • დამსაქმებელთან /პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი და მუდმივი თანამშრომლობა ; • მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება; • გერმანული გამოცდილების გაზიარება; 	<ul style="list-style-type: none"> • არასაკმარისი პიარ კამპანია; • კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებისა და განითარების პროგრამების დანერგვა; • განათლების სფეროში არსებულ ცვლილებებთან ადაპტირება; • ახალ პროექტებში ჩართვა; • პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა; • კარგი პიარ კამპანიის განხორციელება; • პერსონალის მოტივაციის გაზრდა და განვითარებაზე უწყვეტი ზრუნვა; 	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფოს მხრიდან არათამიმდევრული/ხშირი რეფორმა; • ბიზნესის ფუნქციონირების შეფერხება; • პროფესიულ სტუდენტთა გადინება; • არაჯანსაღი კონკურენცია; • პროფესიული კვალიფიკაციების გაუქმება ;

3.შპს სიო-ს პრიორიტეტები:

მისიის განხორციელებისთვის განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება;
3. სტუდენტური სერვისების განვითარება;
4. ადამიანური რესურსების განვითარება;
5. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასება და განვითარება;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება.

